

შეთანხმება
საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა
და
ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობას შორის
საზღვაო ტრანსპორტის სფეროში

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში "ხელშემკვერელ მხარეებად" წოდებულნი; ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების შექმნაში განვითარებისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით; თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დაცვით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

- წინამდებარე შეთანხმების მიზანს წარმოადგენს:
1. ორ ქვეყანას შორის საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ორმხრივი ურთიერთობების ორგანიზება და განვითარება;
 2. საუკეთესო საზღვაო კოორდინაციის უზრუნველყოფა;
 3. საზღვაო საქმიანობის ნორმალური განვითარების ხელისშემშლელი ქმედებების აღმოფხვრა;
 4. ორ ქვეყანას შორის კომერციული და ეკონომიკური ურთიერთობების საერთო განვითარების წახალისება;
 5. გემთმშენებლობასა და გემის შემკეთებელ სფეროში თანამშრომლობა.

მუხლი 2

- წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:
1. "კომპეტენტური ორგანო" ნიშნავს:
- საქართველოში - საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაცია;
- ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში - "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სექტორი".
 2. "ხელშემკვერელი მხარის ხომალდი" ნიშნავს ნებისმიერ ხომალდს ჩარტერული ხომალდების ჩათვლით, რომელიც რეგისტრირებულია ან ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე და დაცურავს მისი დროშის ქვეშ, მის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
აღნიშნული ტერმინი არ მოიცავს:

- საომარ და სხვა სახელმწიფო გეგმებს, რომლებიც აგებულია და გამოიყენება სხვა არაკომერციული მიზნებისთვის;

- თევზსაჭერ გეგმებს;

- სამეცნიერო-კვლევითი ხომალდებს.

3. "ეკიპაჟის წევრი" ნიშნავს ხომალდის კაპიტანს და ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტიურად დაქირავებულია ხომალდზე, მისი მომსახურების ან სხვა სამუშაოების შესრულების მიზნით, ირიცხება ეკიპაჟის შემადგენლობაში და ფლობს მეზღვაურის პირადობის დამადასტურებელ საბუთს, წინამდებარე შეთანხმების მე-12 მუხლის შესაბამისად.

4. "სანაოსნო კომპანია" ნიშნავს კომპანიას, რომელიც ფლობს საზღვაო ხომალდებს, რეგისტრირებულია და განლაგებულია ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და აღიარებულია ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5. "ჩარტერული ხომალდი" ნიშნავს ნებისმიერ ხომალდს, რომელიც რეგისტრირებულია მესამე ქვეყანაში და დაფარავს ხელშემკვრელი მხარის ნებისმიერი სანაოსნო კომპანიის ან საწარმოს მიერ.

მუხლი 3

წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს საქართველოს და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიებზე.

წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ გამოიყენება:

- იმ საქმიანობის მიმართ, რომელიც თითოეული ხელშემკვრელი მხარის ეროვნულ კანონმდებლობას ექვემდებარება და მოიცავს კაბოტაჟს, ბუქსირზე აყვანას, სალოცმანო გაცილებას, სამაშველო სამუშაოებს, საპორტო მომსახურებას, საზღვაო დახმარებას, თევზჭერას თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიულ წყლებში;

- შიდა წყლებში და სუეცის არხში ნაოსნობის მიმართ;

- უცხოელების შესვლისა და გასვლის წესების მიმართ.

მუხლი 4

ხელშემკვრელი მხარეები მათ ორმხრივ ურთიერთობებში ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს საგაჭრო ნაოსნობის თავისუფლებას და თავს შეიკავებენ ნებისმიერი ქმედებებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია შეაფერხონ საერთაშორისო ნაოსნობის განვითარება.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ ვრცელდება თითოეული ხელშემკვერელი მხარის იმ უფლებებზე და მოვალეობებზე, რომლებიც გამოძინარეობენ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

მუხლი 6

ხელშემკვერელი მხარეები შეთანხმდნენ:

a. ხელი შეუწყონ, ნაცვალებების საფუძველზე, საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას და აღმოფხვრან ამ სფეროში არსებული ნებისმიერი წინააღმდეგობები;

b. გააადვილონ ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გაცვლა;

c. მიანიჭონ ხელშემკვერელი მხარის სანაოსნო კომპანიებს სრული თავისუფლება წარმოადგინონ ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემა (შერეული სატრანსპორტო მომსახურება) და მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ საინვესტიციო საწარმოებში ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებით.

მუხლი 7

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე, ნაცვალებების საფუძველზე, გაუწევს მეორე ხელშემკვერელი მხარის ხომალდებს იგივე სახის მომსახურებას, როგორსაც უწევს საკუთარ ხომალდებს იმ პორტებში შესვლისას, რომლებიც ღიაა უცხოური ხომალდებისათვის, პორტების გამოყენებისას ტვირთის ჩატვირთვის და გადმოტვირთვის, მეზავრთა ჩასხმის და გადმოსხმის მიზნით, ყველა ხელმისაწვდომი სანაოსნო მომსახურების გამოყენებით.

2. წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის დებულება არ ავალდებულებს ნებისმიერ ხელშემკვერელ მხარეს მიანიჭოს მეორე ხელშემკვერელი მხარის ხომალდებს სავალდებულო ბილოტაჟისაგან განთავისუფლების შეღავათი, რომელიც მინიჭებული აქვთ საკუთარ ხომალდებს.

მუხლი 8

ხელშემკვერელი მხარეები, მათი შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში, მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა გააადვილონ და დააჩქარონ საზღვაო მოძრაობა, აღკვეთონ ხომალდების გაუმართლებელი შეფერხებები და შეძლებისდაგვარად დააჩქარონ და გაამარტივონ ნავსადგურებში სავალდებულო საბაჟო და სხვა ფორმალბების შესრულება.

მუხლი 9

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელი მხარის სანაოსნო კომპანიებს მიანიჭებს უფლებას გამოიყენონ გადახდისათვის პირველი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო საზღვაო სამსახურისაგან მიღებული ქვითრები და საგადასახადო მოთხოვნები.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარე მეორე ხელშემკვერელი მხარის სანაოსნო კომპანიებს მიანიჭებს უფლებას გადააგზავნოს ზემოთ ხსენებული ქვითრები და საგადასახადო მოთხოვნები თავისი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შემოსავლები და მოგება, რომლებიც მიღებულ იქნა ერთი ხელშემკვერელი მხარის სანაოსნო კომპანიების მიერ მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე, დაიბეგრება ნაცვალგების პრინციპით, მხოლოდ ამ, მეორე მხარის მიერ.

მუხლი 10

1. ხელშემკვერელი მხარეები ხელს შეუწყობენ მათი ხომალდების მონაწილეობას ყველა სახის ორმხრივ სავაჭრო და სამგზავრო გადაზიდვების განხორციელებაში, ორი ქვეყნის ნავსადგურებს შორის, რომელიც ღიაა უცხოეთის ხომალდებისათვის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპის საფუძველზე, შესყიდვის კონტრაქტების პირობების (FOB, C&F) მიუხედავად. ამ მონაწილეობის განხორციელებისათვის ხელშემკვერელი მხარეები რეკომენდაციას გაუწევენ თავიანთ ეროვნულ სანაოსნო კომპანიებს ითანამშრომლონ ორი ხელშემკვერელი მხარის ნავსადგურებს შორის ხომალდების რეგულარული მომსახურების სფეროში.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის სანაოსნო კომპანიას უნდა ჰქონდეს უფლება დაიქირაოს ხომალდები, რათა მიიღოს წილის ნაწილი.

3. ხელშემკვერელი მხარეები არ შეუშლიან ხელს ერთი ხელშემკვერელი მხარის ხომალდების მონაწილეობას მეორე ხელშემკვერელი მხარისა და მესამე ქვეყნებს ნავსადგურებს შორის საზღვაო ვაჭრობაში.

მუხლი 11

1. ხელშემკვერელი მხარეები ურთიერთცნობენ ხომალდების ეროვნულ კუთვნილებას თითოეული ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მათი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული სარეგისტრაციო სერტიფიკატების საფუძველზე.

2. თითოეული ხელშემკვერელი მხარის ხომალდი, აღჭურვილი ტევადობის სერტიფიკატით, რომელიც გაფორმებულია ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის

კომპეტენტური ორგანოს მიერ, არ ექვემდებარება ხელახალ გაზომვებს. იმ შემთხვევაში, როცა ხელშემკვრელ მხარეს გააჩნია დასაბუთებული ეჭვი სომალდისათვის გაცემული მოცულობის სერტიფიკატის მიმართ, მას შეუძლია წარუხაგნოს ინსპექტორი სომალდის დასათვალისწინებლად და შეუძლია შეამოწმოს სომალდი მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ყველა საბორტო გადასახადები მოიკრიბება თითოეული ხელშემკვრელი მხარის ნავსადგურებში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 12

ხელშემკვრელი მხარეები ცნობენ მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემულ მეზღვაურის პირადობის დამადასტურებელ შემდეგ დოკუმენტებს:

a. საქართველოს მიმართ - "მეზღვაურის წიგნაკი".

b. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მიმართ - "მეზღვაურის წიგნაკი ან პასპორტი".

c. გემის ეკიპაჟის იმ წევრების მიმართ, რომლებიც არიან სხვა ქვეყნების წარმომადგენლები და მუშაობენ რომელიმე ხელშემკვრელი მხარის სომალდზე - პირადობის დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც გაცემულია შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 13

1. ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის სომალდის ეკიპაჟის ყოველ წევრს, მეორე ხელშემკვრელი მხარის ნავსადგურში ამ სომალდის ყოფნის პერიოდში, შეუძლია ვიზის გარეშე გადავიდეს ხმელეთზე და დარჩეს დროებით შეგებულებაში იმ შემთხვევაში, თუ სომალდის კაპიტანი კომპეტენტურ ორგანოს ჩააბარებს ეკიპაჟის შემადგენლობის სიას, ამ ნავსადგურში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხმელეთზე გადასვლისა და სომალდზე დაბრუნებისას, აღნიშნული პირი დაექვემდებარება ამ ნავსადგურში მოქმედ საპასპორტო კონტროლს და საბაჟო ფორმალობებს.

მუხლი 14

1. ეკიპაჟის წევრებს, სატრანსპორტო საშუალებების მიუხედავად, აქვთ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლის ან მასზე გაგლის უფლება თავიანთ სომალდზე დაბრუნების, სხვა სომალდზე გადასვლის, თავიანთ ქვეყანაში

დაბრუნების ან სხვა მიზნით მოგზაურობისათვის, მეორე ხელშეშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს თანხმობით.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, მეზღვაურები ვალდებული არიან იქონიონ მეორე ხელშეშემკვრელი მხარის ვიზა. აღნიშნული დოკუმენტი გაცემულ უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

3. წინამდებარე შეთანხმების მე-12 მუხლში მითითებული მეზღვაურის დამადასტურებელი საბუთის მფლობელი არის რომელიმე ხელშეშემკვრელი მხარის მოქალაქე, წინამდებარე მუხლში მითითებული შესვლის და სატრანზიტო ვიზები მეორე ხელშეშემკვრელი მხარის ტერიტორიისათვის გაიცემა იმ პირობით, რომ მფლობელის დაბრუნება იმ ხელშეშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომელმაც გასცა პირადობის დამადასტურებელი აღნიშნული საბუთი, გარანტირებული იქნება.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ეკიპაჟის წევრი უნდა გაჩერდეს მეორე ხელშეშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებულ ნავსადგურში ავადმყოფობის ან კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებული სხვა მიზეზით, ეს ორგანოები გასცემენ სათანადო უფლებას, რათა ეკიპაჟის წევრს ნება მიეცეს დარჩეს მის ტერიტორიაზე მკურნალობის ან ჰოსპიტალიზაციისათვის და დაბრუნებულ იქნას თავის ქვეყანაში ან ჩასხდომის სხვა პორტში ტრანსპორტის ნებისმიერი საშუალებით.

მუხლი 15

1. უცხოელთა შესვლის, ყოფნისა და ყოფნის დასრულების მიმართ გამოიყენება თითოეული ხელშეშემკვრელი მხარის კანონმდებლობა, მე-13 და მე-14 მუხლების გათვალისწინებლად.

2. თითოეული ხელშეშემკვრელი მხარე იტოვებს უფლებას უარი უთხრას მის ტერიტორიაზე შესვლაზე ნებისმიერ მეზღვაურს, რომელიც განიხილება არასასურველად.

მუხლი 16

1. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხელშეშემკვრელი მხარის ხომალდი მეორე ხელშეშემკვრელი მხარის ტერიტორიულ ზღვაში ან ნავსადგურში განიცდის უბედურ შემთხვევას ზღვაზე ან თუ მას ემუქრება სხვა სახის საფრთხე, ეს უკანასკნელ საფრთხეში მყოფ ხომალდს, მისი ეკიპაჟის წევრებს, ტვირთს და მეზღვაურებს გაუწევს ყველა შესაძლო დახმარებას და მიაქცევს ყურადღებას და აღნიშნული შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინებს შესაბამისი ხელშეშემკვრელი მხარე სათანადო ორგანოებს.



2. თუ რომელიმე ხელშემკვერელი მხარის ხომალდზე არსებული ტვირთი, რომელიც განიცდის უბედურ შემთხვევას, საჭიროებს გადმოტვირთვას და დროებით შენახვას მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე მისი დატვირთვის ქვეყანაში დაბრუნებამდე ან მესამე ქვეყნებში გატანამდე, მეორე ხელშემკვერელი მხარე ხელს შეუწყობს ამ ოპერაციას და ამგვარი ტვირთი გათავისუფლდება ყველა სახის საბაჟო მოსაკრებლებისა და გადასახადებისაგან იმ პირობით, რომ იგი არ არის განკუთვნილი მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის ამ ხელშემკვერელ მხარეში.

მუხლი 17

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარის ხომალდი და ეკიპაჟის წევრები გალდებულნი არიან დაიცვან მეორე ხელშემკვერელი მხარის ადგილობრივი კანონმდებლობა მათი ამ უკანასკნელის ტერიტორიულ ზღვაში ან ნავსადგურში ყოფნის განმავლობაში. ხელშემკვერელი მხარის სასამართლო ორგანოები, მეორე ხელშემკვერელი მხარის შესაბამისი დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირისათვის შეტყობინების გარეშე არ განიხილავენ საჩივრებს, რომლებიც დაკავშირებულია მეორე ხელშემკვერელი მხარის ხომალდის ეკიპაჟის წევრთა სამუშაო კონტრაქტებთან.

2. თუ რომელიმე ხელშემკვერელი მხარის ხომალდის ეკიპაჟის წევრი ჩაიდენს დანაშაულს ამ ხომალდზე მეორე ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიულ ზღვაში, ამ ხელშემკვერელი მხარის კომპეტენტური ორგანოები არ დევნიან მას სასამართლო წესით ხომალდის კაპიტნის, პირველი ხელშემკვერელი მხარის დიპლომატიური წარმომადგენლობების ან საკონსულოს თანამშრომლების თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- a. დანაშაულის შედეგი ვრცელდება მის ტერიტორიაზე; ან
- a. დანაშაული ზიანს აყენებს მისი ქვეყნის მშვიდობას ან წესრიგს ტერიტორიულ წყლებში; ან
- b. მათი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად დანაშაული წარმოადგენს სერიოზულ სამართალდარღვევას; ან
- c. დანაშაული არის ჩადენილი ხომალდზე მყოფი უცხოელის წინააღმდეგ; ან
- d. დანაშაული მოიცავს ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გადაზიდვას.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები არ ზღუდავენ რომელიმე ხელშემკვერელი მხარის უფლებას მიიღოს ნებისმიერი ზომები კანონის შესაბამისად უცხოეთის ხომალდის დაპატიმრების ან შემოწმების მიზნით, რომელიც გადის ტერიტორიული ზღვის გავლით, შიდა წყლებიდან გასვლის შემდეგ.

მუხლი 18

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები მოაწესრიგებენ ყველა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების განხორციელებასა და გამოყენებასთან.

2. ამ მიზნისათვის ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ დააარსონ ერთობლივი სანაოსნო კომიტეტი.

3. ერთობლივი სანაოსნო კომიტეტი შეიკრიბება ნებისმიერი მხარის მოთხოვნით და შედგება ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნული წარმომადგენლებისგან.

4. ერთობლივი სანაოსნო კომიტეტი:

a. განიხილავს სიტუაციას თითოეული ქვეყნის საზღვაო ტრანსპორტის მიმართ;

b. შეისწავლის საზღვაო სექტორებში თანამშრომლობის განვითარების გზებს;

c. განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე შეთანხმების გამოყენებისას და ყველა სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება საზღვაო სატრანსპორტო ურთიერთობების სრულყოფასთან და მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 19

ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან, მოწესრიგდება ერთობლივი სანაოსნო კომიტეტის მიერ.

თუ ეს კომიტეტი ვერ შესძლებს მივიდეს რაიმე გადაწყვეტილებამდე, დავა მოწესრიგდება დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მუხლი 20

ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე მორე ხელშემკვრელი მხარის სანაოსნო კომპანიების წარმომადგენლობების დაარსებაში. ამ წარმომადგენლობების საქმიანობა დაექვემდებარება ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობას.

მუხლი 21

იმ საკითხების მიმართ, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შეთანხმებით, გამოიყენება ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ კანონმდებლობები.

მუხლი 22

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშეკვრელი მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის საჭირო კონსტიტუციური პროცედურების დასრულების შესახებ დიპლომატიური ნოტების გაცვლის დღიდან. უკანასკნელი შეტყობინების თარიღი ჩაითვლება შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღად.

2. ეს შეთანხმება იმოქმედებს ორი წლის განმავლობაში და განახლდება მომდევნო ერთწლიანი პერიოდებით, თუ ერთ-ერთი მხარე შეთანხმების ვადის გასვლამდე სამოცი დღით ადრე დიპლომატიური არხებით წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს თავისი განზრახვის შესახებ, შეწყვიტოს მისი მოქმედება.

3. წინამდებარე შეთანხმების ყველა დამატება, შეთანხმებული ხელშეკვრელი მხარეებს მიერ, შესრულებული წერილობით და მათ მიერ ხელმოწერილი, ძალაში შევა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად.

შესრულებულია ქ. კაიროში 1999 წლის — ივნისს, ორ პირად ქართულ, არაბულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი არის თანაბრად აუთენტური. განსხვავებული განმარტების დროს გამოიყენება ტექსტი ინგლისურ ენაზე.

საქართველოს აღმასრულებელი
ხელისუფლების სახელით



ირაკლი გენაღარიშვილი
საქართველოს
საგარეო საქმეთა მინისტრი

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის
მთავრობის სახელით



ამრ მუსა
ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა მინისტრი

